

## საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
  - 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
  - 1.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
  - 1.3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
  - 1.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:
  - 2.1. აგრონომია (1 ვაკანსია-პროფესორი, 1 ვაკანსია-ასოცირებული პროფესორი, 1 ვაკანსია-ასისტენტ-პროფესორი)
  - 2.2. აგრო-ბიოტექნოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი)
  - 2.3. კვების ტექნოლოგია (1 ვაკანსია-პროფესორი)
  - 2.4. ზოგადი ქიმია (1 ვაკანსია-ასოცირებული პროფესორი)
  - 2.5. ფილოსოფია (1 ვაკანსია ასისტენტ-პროფესორი )
  - 2.6. სატყეო საქმე (1 ვაკანსია-პროფესორი)
  - 2.7. ფიზიკა (1 ვაკანსია-პროფესორი)
  - 2.8. ნეირობიოლოგია ( 1 ვაკანსია-ასოცირებული პროფესორი)
  - 2.9. ფუნქციონალური საკვები (1 ვაკანსია-ასისტენტ-პროფესორი)
3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2017 წლის 27 თებერვლიდან - 2017 წლის 2 მარტის ჩათვლით.**
4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
  - 4.1. ბიოგრაფია (CV);
  - 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/70242723406448>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2017 წლის 6 მარტიდან - 2017 წლის 10 მარტის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2017 წლის 13 მარტიდან - 2017 წლის 17 მარტის ჩათვლით**.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით.

## 9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი  
ვებ-გვერდი: [www.agruni.edu.ge](http://www.agruni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@agruni.edu.ge](mailto:Vacancy@agruni.edu.ge)